# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34


# საკრებულოს თავმჯდომარის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №193

5 ოქტომბერი  2012 წ.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის (ს/კ - 203851509) გადაცემის შესახებ**

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილების მე-4 მუხლის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 20 სექტემბრის №02/1547 მომართვის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გადაეცეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას (ს/კ - 203851509) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონება თანახმად დანართისა.
2. მუნიციპალიტეტის გამგეობამ (გია გიორგაძე) უზრუნველყოს მხარეებს შორის გასაფორმებელი მიღება–ჩაბარების აქტის მომზადება.
3. მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილებამ (ზურაბ შათირიშვილი) უზრუნველყოს მუნიციპალური ქონების ბუღალტრულ-სააღრიცხვო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების გატარება.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. #4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*დანართი*

ინვენტარის ჩამონათვალი

| N | საქონლის ჩამონათვალი | საქონლის რაოდენობა (ცალი) | საქონლის ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | საოფისე სავარძელი | 3 | 480 |
| 2 | ფერადი ტელევიზორი | 1 | 250 |
| 3 | ფერადი ტელევიზორი | 1 | 150 |
| 4 | რკინის კარადა | 1 | 300 |
| 5 | კარადა | 3 | 600 |
| 6 | მაგიდა საოფისე მისადგმელით | 2 | 900 |
| 7 | საოფისე მაგიდა | 4 | 600 |
| 8 | საოფისე ტუმბო | 1 | 130 |
| 9 | განცხადებების დაფა | 1 | 110 |
| 10 | ტანსაცმლის საკიდი | 1 | 230 |
| 11 | კონდიციონერი | 1 | 580 |
| 12 | კრონშტეინი | 1 | 20 |
| ჯამი | | | 4350 |